ს-29.
1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34(05)
ს-29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მწარმოებლობის გამოცემა

1934 წ. თებერვლის 28. № 1 ტფილისი

1548

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

1. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში ჯანმრთელობის განყოფილებების დაარსების შესახებ.

2. ქალაქ ახალციხეში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ.

3. ახალციხის რაიონში საძელის და სუფლისის სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

4. ჩხოროწყუს რაიონში ნაკიანის სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

5. ჩახატაურის რაიონში საყვავისტყე-დაბლაციხის სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა.

6. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1933 წლის ივლისის 27-ის დადგენილების მე-III კარის მოქმედების განგრძობის შესახებ.

7. სსრ კავშირის ერთიანი საპასპორტო სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

8. „სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობისა და სალატარიო მუშაობის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის სექტემბრის 27-ის დადგენილების განსორციელებითვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სამხედრო საქმე.

9. 1912 წლის დაბადებულ მოქალაქეთა გამწვევ უბნებზე მიწერისა და 1934 წელს მათი მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მომზადების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

10. „საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

11. პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის შესახებ.

12. „ცრუ-კოოპერატივების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შევსების შესახებ.

მრეწველობა.

13. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს შესახებ.

14. საქართველოს სსრ კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოსთან საქართველოს ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანური კონტორის—„საქფოტოს“—მოწყობის შესახებ.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშენებელობა.

15. საქართველოს სსრ-ის სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

16. საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების გაუქმების შესახებ.

17. კოლექტიური მეურნეობების მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საადგილმამულო დავებისა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად რესპუბლიკანური და სარაიონო კომისიების დაარსების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ვეტერინარია.

18. ეპიზოოტიებთან ბრძოლის მიზნით დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

19. საკვები პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის ფასების დამუშავებისა, დაწესებისა და კონტროლის გაწევის სფეროში უწყებებისა და ორგანიზაციების ფუნქციათა განსაზღვრის შესახებ.

20. საქართველოს სსრ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული შრომითი საგლეხო მეურნეობებისათვის ნებადართვის შესახებ დაუბრკოლებლად მიჰყიდონ თავიანთი პური სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებს და აგრეთვე გაყიდონ ბაზარზე და რკინის გზის სადგურებზე.

21. 1934 წელს სახელმწიფოსათვის რძისა, კარაქისა და ყველის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

22. კოლექტიურ მეურნეობებთან და ერთპიროვნულ მეურნე გლეხებთან ტყის დამზადებასა და წყლით ჩამოტივტივებაზე ხელშეკრულებათა დადებისათვის გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების შესახებ.

ტრანსპორტი.

23. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

24. საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და ექსპლოატაციის სფეროში კომუნალური მეურნეობის ორგანოებისა და საბინაო კოოპერაციის ორგანოების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

25. „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „ლ“ პუნქტისა, მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

26. მწერალთა და კომპოზიტორთა საბინაო უფლებების შესახებ.

27. „საცხოვრებელი სადგომების შოვნისა, დაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-4 მუხ. შესვლის შესახებ.

შრომა.

28. „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 31 და 32 მუხლის შეცვლის შესახებ.

29. ამირკავკასიის რკინის გზაზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

განათლება.

30. საბავშვო სათამაშოების წარმოებისა და გავრცელების შესახებ.

31. საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

32. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

33. „ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრების შეღავათების ოაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ხიხლის სამართალი.

34. არასწორე სააღრიცხვო და საანგარიშო ნობების წარდგენისათვის და აგრეთვე სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სასამართლო-წყობილება და სამართლის წარმოება.

35. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

36. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 336[4] მუხლის დამატების შესახებ.

37. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 326 მუხლის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

1. დადგენილება ც.ა.კ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში ჯანმრთელობის განყოფილებების დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

საქართველოს სსრ-ის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში დაარსებულ იქნეს ჯანმრთელობის განყოფილებანი.

II.

საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების 46 და 47 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-8 №-ი, მუხ. 65; 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 29) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„46. რაიონის მმართველობისა და მეურნეობის ცალკეული დარგების სამუშაოთა შესასრულებლად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებანი: ა) საორგანიზაციო, ბ) სამიწათმოქმედო, გ) ადგილობრივი მეურნეობისა, დ) საგზაო, ე) საფინანსო, ვ) სახალხო განათლებისა, ზ) ჯანმრთელობისა, თ) საგეგმო კომისია და ი) სარაიონო მუშათა და ბლეხთა ინსპექცია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„47. 46 მუხლში აღნიშნული განყოფილებების გარდა, თვითეულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო სამმართველო და ინსპექტორები: ა) მომარაგებისა, ბ) შრომისა, გ) სოციალური უზრუნველყოფისა, დ) სამხედრო საქმეთა და ე) ფიზიკური კულტურისა“.

(46 და 47 მუხლის შენიშვნები დატოვებულ იქნეს ძალაში).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **თ. ულენტი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 27.
ტფილისი.

---

2. დადგენილება ც. ა. კ.

ქალაქ ახალციხეში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 64 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

1. ქალაქ ახალციხეში, ამჟამად არსებული სასოფლო საბჭოს ნაცვლად, მოეწყოს საქალაქო საბჭო „ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულებით“ გათვალისწინებულ საერთო საფუძველზე.

2. საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის ქალაქ ახალციხეში დაწესებულ იქნეს საარჩევნო ნორმა—ერთი დეპუტატი ყოველ 50 ამომრჩეველზე.

3. ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ ახალციხის სასოფლო საბჭო დაიშალოს, და მოხდეს საქალაქო საბჭოს არჩევნები საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

II.

„ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების“ 1 მუხლი და 6 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 18; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 235; 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 112, მე-17 №-ი, მუხ. 196) შეიცვალოს შემდეგნაირად.

„1. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველზე ეწყობა ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ქუთაისში, ფოთში, თელავში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, ახალციხეში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ხონში, სენაკში, ზუგდიდში და ოზურგეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ქალაქ სიღნაღში, დუშეთში, ახალქალაქში, ~~ონსა~~, ~~ორეს~~ ჩირეში, გუდაუთში და გაგრაში ეწყობა სასოფლო საბჭოები სასოფლო საბჭოების შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე".

„6. (ნაწ. 1) ქალაქის საბჭო ირჩევა შემდეგი ანგარიშით: ტფილისში—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—ერთი დეპუტატი 150 ამომრჩეველზე, ბათომში—ერთი დეპუტატი 100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ფოთში, თელავში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, ახალციხეში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ხონში, სენაკში, ზუგდიდში და ოზურგეთში—ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. **ჟღენტი**.

1933 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 292 №-ში 1933 წ. დეკემბრის 21.

---

3. დადგენილება ც. ა. კ.

ახალციხის რაიონში საძელის და სუფლისის სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნეს ახალციხის რაიონში შემდეგი სასოფლო საბჭოები:

1) საძელის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. საძელში, რომელსაც მიეკუთვნოს სოფლები: საძელი, აბო და ხაკი—გაუქმებული ახალციხის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან და ორალი და ყულალისი—იმავე რაიონის ფამაჩის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან;

2) სუფლისის სასოფლო საბჭო, რომელსაც მიეკუთვნოს სოფლები: ივლიტა, კონჯლა და ფარეხა—გაუქმებული ახალციხის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან და ზემო-სუფლისი და ქვემო-სუფლისი—ფამაჩის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან.

სრ. საქ. ც. ა.კ-ის თავმჯდომარის მაგ. თ. **ჟღენტი**.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. მ. **ვარამაშვილი**.

1933 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დადგენილება ც. ა. კ.

ჩხოროწყუს რაიონში ნაკიანის სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნეს ჩხოროწყუს რაიონში ნაკიანის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ნაკიანში, რომელსაც მიეკუთვნოს სოფლები: ლექარჩე—ჭოლის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან, ნაკიანი—ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან და სავეკუო—ახუთის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **თ. ყლენტი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 27.

ტფილისი.

---

5. დადგენილება ც. ა. კ.

ჩოხატაურის რაიონში საყვავისტყე-დაბლაციხის სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნეს ჩოხატაურის რაიონში საყვავისტყე-დაბლაციხის სასოფლო საბჭო, რომელსაც მიეკუთვნოს სოფლები საყვავის-ტყე და დაბლა ციხე—ჩოხატაურის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **თ. ყლენტი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 27.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მმართველობა

6. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სასტემის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1933 წლის ივლისის 27-ის დადგენილების მე-III კარის მოქმედების განგრძობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემის ჩატარების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 27-ის დადგენილების მე-III კარის მოქმედება (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 246) განგრძობილ იქნეს 1934 წ. იანვრის 1-მდე.

II.

ამის შესაბამისად ზემოაღნიშნული დადგენილების მე-III კარი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეჩერებულ იქნეს 1934 წლის იანვრის 1-მდე ქალ. ტფილისსა და ბათომში მოქმედება:

ა) საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდების იმ ნაწილისა, რაც ეხება ამხანაგობათა წევრების და აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების უფლებას ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ მუნიციპალიზებულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის უპირატესად მიღებაზე;

ბ) საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156[1] მუხლისა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 157) მშრომელთა მიერ როგორც ერთი ქალაქის ფარგლებში, ისე სხვადასხვა ქალაქებში საცხოვრებელი ფართობის ერთმანეთისათვის გაცვლის უფლების შესახებ“.

„2. დაწესებულ იქნეს, რომ მთლად ის საცხოვრებელი ფართობი ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში (მათ შორის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებში) და აგრეთვე კერძო მფლობელობის სახლებში, რაც განთავისუფლდება ქალ. ტფილისიდან და ბათომიდან იმ მოქალაქეთა წასვლის გამო, რომელთაც უარი ეთქვათ პასპორტის მიცემაზე, შედის სათანადო საქალაქო საბჭოს კომუნალურ საბინაო ფონდში“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1933 წ. დეკემბრის 1.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 278 №-ში 1933 წ. დეკემბრის 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სსრ კავშირის ერთიანი საპასპორტო სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

„სსრ კავშირის ერთიანი საპასპორტო სისტემის დამყარებისა და პასპორტების სავალდებულო ჩაწერის შესახებ“ გამოცემულ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 27-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 84 №-ი, მუხ. 516), „პასპორტების შესახებ“ 1932 წლის დეკემბრის 27-ის თარიღით გამოცემულ დებულებასთან (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 84 №-ი, მუხ. 517) და „სსრ კავშირის ტერიტორიაზე სსრ კავშირის მოქალაქეთათვის პასპორტების მიცემის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აპრილის 28-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 28 №-ი, მუხ. 168) დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის დეკემბრის 29-ის დადგენილება „ვინაობის მოწმობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-ი, მუხ. 177) გაუქმებულ იქნეს.

2. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 31-ის დადგენილებისა „სახლის სამოურაოს (სახლის პატრონი, მოიჯარადრე, სახლის მოურავი, მუნიციპალიზებული სახლის გამგე და კომენდანტი, სასტუმროს და გასაქირავებელი ავეჯიანი ოთახების პატრონი) მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის სფეროში“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 151) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოწმობის გაცემა იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პირი ამა და ამ სახლში ცხოვრობს“.

3. სასოფლო საბჭოების დებულების 61 მუხლის „ა“ პუნქტის ბოლო სიტყვები (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე 9 №-ი, მუხ. 66) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „გასცემს საჭირო ცნობებს და მოწმობებს“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1933 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი.

თელავში, გორში, [illegible] სანაკში, ზუგდიდში და [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დადგენილება ც. ა. კ.

„სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობისა და სალატარიო მუშაობის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის სექტემბრის 27-ის დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობისა და სალატარიო მუშაობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 61 №-ი, მუხ 362), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე (მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ) მოქმედ ყველა სანებაყოფლო საზოგადოებას და ორგანიზაციას, ვისი წესდება დამტკიცებულია იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების წესისამებრ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ (საკ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 339; 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 76), ან ხელისუფლების ორგანოების (ცენტრალური და ადგილობრივი) სპეციალური დადგენილებებით, წარუდგინოს, ორი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს სათანადო წესით დამტკიცებული წესდება და აგრეთვე ცნობები იმის შესახებ: ა) რა საწარმოო და კომერციულ საქმიანობას ეწევა ეს საზოგადოება და ორგანიზაცია; ბ) რა საწარმოო და სავაჭრო წერტები აქვს მას; გ) სად მდებარეობენ ეს წერტები და დ) სად და რომელი აქტით დარეგისტრებულია აღნიშნული წერტები სახელმწიფო რეგისტრაციის წესით.

2. ის საზოგადოება და ორგანიზაცია, რომელიც თავს არიდებს ზემოთ დასახელებული ცნობების წარდგენას აღნიშნულ ვადაზე, მექანიკურად ჰკარგავს რაიმე საწარმოო ან კომერციული საქმიანობის წარმოების უფლებას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ნოემბრის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 277 №-ში 1933 წ. დეკემბრის 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო საქმე

9. დადგენილება ც.ა.კ.

1912 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გამწვევ უბნებზე მიწერი ა და 1934 წელს მათი მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მომზადების შესახებ.

1934 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1912 წელს დაბადებული მოქალაქეების მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მომზადების თავის დროზე გაშლისა და სავსებით განხორციელების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობისათვის 1934 წელს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში 1912 წელს დაბადებული მოქალაქეების გაწვევის მომზადების საქმეში დახმარების გასაწევად, დაეკისროს მთავრობის კომისიას იმ შედგენილობით, რაც განსაზღვრულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის მაისის 8-ის დადგენილებით.

2. აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს სსრ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები და ყველა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ, პარტიულ და ალკკ ორგანზაციებთან და ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოებთან მჭიდრო კავშირის დაჭერით, 1934 წელს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში 1912 წელს დაბადებული მოქალაქეების მორიგი გაწვევის მომზადებას და უნდა დაისახონ შემდეგი ამოცანები:

ა) 1912 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გამწვევ უბნებზე მიწერის ჩატარების უზრუნველყოფა ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოების მიერ დადგენილ ვადებზე;

ბ) 1912 წელს დაბადებული თვითეული წვევამდელის სოციალურ-კლასობრივი სახის გამორკვევა და მათი კლასობრივ სასტიკად შერჩევა; ეს ღონისძიებანი ჩატარებულ უნდა იქნეს სისტემატურად მთლად გაწვევის მომზადების დროის განმავლობაში;

გ) 1912 წელს დაბადებულ წვევამდელთა შორის მათ ეროვნულ ენაზე წერა-კითხვის მცირე მცოდნეთა და უცოდინართა გამორკვევა და მათი წერა-კითხვის მცირემცოდნეობისა და უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია 1934 წლის აპრილის 1-თვის;

დ) „თავდაცვა-ავიაქიმის“ ხაზით 1912 წელს დაბადებულ მოქალაქეთა საწვევამდელო სამხედრო მომზადების ჩატარების უზრუნველყოფა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ჯარში მორიგი გაწვევის ხელისშეშყობმა მთავრობის კომისიამ უნდა მიაქციოს თავისი განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ საჭიროა ახლავე კონკრეტულად და ფართოდ გაშლილ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1912 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევისათვის მომზადება და მხედველობაში მიიღოს წარსული წლების ნაკლოვანებანი, რაც გამოწვეული იყო ამ მომზადების გვიან დაწყებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1933 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 277 №-ში 1933 წ. დეკემბრის 14.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

10. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის თაობაზე" გამოცემული 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 10-ის დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს რესპუბლიკანური, საოლქო (სამხარეო) და სარაიონო ორგანოების დებულების გამოცემასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 108 ა და 108 ბ), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს და გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 13-ის დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 92).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1933 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 61 №-ი, მუხ. 366), რომელი დადგენილებითაც შეცვლილია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილება „პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის შესახებ“, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ახლად მოწყობილ პირველად კოოპერატივებს მიეცეს შეღავათთა და უპირატესობათა სარგებლობის უფლება სამი თვის განმავლობაში წესდების რეგისტრაციის დღიდან. უკეთუ ეს კოოპერატივები ამ ვადის განმავლობაში სისტემაში არ შევლენ, მათ ჩამოერთმევათ შეღავათთა და უპირატესობათა სარგებლობის უფლება წესდების რეგისტრაციის დღიდან.

2. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 39[1] მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 118) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„39[1]. ინვალიდთა ახლად მოწყობილი პირველადი კოოპერატიული შენაერთები შეღავათებსა და უპირატესობათ სარგებლობენ სამი თვის განმავლობაში დღიდან წესდების რეგისტრაციისა. უკეთუ ეს შენაერთები ამ ვადის განმავლობაში სისტემაში არ შევლენ, მათ ჩამოერთმევათ შეღავათთა და უპირატესობათა სარგებლობის უფლება წესდების რეგისტრაციის დღიდან“.

3. სარეწაო კოოპერაციის დებულებას (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78) დაემატოს მე-9[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„9[1] ახლად მოწყობილი პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციები შეღავათებს და უპირატესობათ სარგებლობენ სამი თვის განმავლობაში დღიდან წესდების რეგისტრაციისა. უკეთუ ეს ორგანიზაციები ამ ვადის განმავლობაში სისტემაში არ შევლენ, მათ ჩამოერთმევათ შეღავათთა და უპირატესობათა სარგებლობის უფლება წესდების რეგისტრაციის დღიდან“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ნოემბრის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 275 №-ში 1933 წ. ნოემბრის 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. დადგენილება ს. კ. ს.

„ცრუ-კოოპერატივების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შევსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ცრუ-კოოპერატივების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული 1929 წ. მაისის 14-ის დადგენილების 1-ლ მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. მე-12 №-ი, მუხ. 114) დაემატოს ბოლოში სიტყვები „(აღნიშნული მუხლების 1930 წლის ნოემბრის 23-ის რედაქციის მიხედვით—სსრკ კან. კრ. 1930 წ. 57 №-ი, მუხ. 606)“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 26.

ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

13. დადგენილება ს.ჰ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს შესახებ.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 19-ის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-12 №-ი, მუხლი 152) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ- ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 26

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს შესახებ.

ა. ზოგადი დებულებანი.

1. კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველო არსდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმ მიზნით, რათა აამაღლოს კინემატოგრაფიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფოტო-საქმის მნიშვნელობა და როლი, როგორც კულტურული წარმატების უდიდესი ფაქტორებისა—კინო-ფილმების და ფოტოს წარმოებისა და ფოტო-ქიმიურ და კინო-მექანიკური მრეწველობის განვითარებით, მოაწყოს ყველა სახის კინო-ფოტო-პროდუქციის გავრცელების საქმე და მაქსიმალურად გამოიყენოს ამისათვის საქართველოს სსრ ორგანიზაციების რესურსები.

ბ. კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს ამოცანები.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველო ანხორციელებს შემდეგ ამოცანებს:

ა) ხელმძღვანელობას უწევს მის ქვემდებარე ორგანიზაციებისა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის კინო-თეატრების საქმიანობას; ამტკიცებს მათ წესდებებს, დებულებებს და საწარმოო გეგმებს და განსაზღვრავს მათ კაპიტალებს;

ბ) ეწევა წარმომადგენლობას კინოს და ფოტოს საკითხების გამო საქართველოს სსრ მთავრობის ყველა დაწესებულებაში;

გ) იხილავს და ამტკიცებს მის ქვემდებარე საწარმოთა წლიურ და კვარტალურ გეგმებს მასური სამხატვრო, სამეცნიერო-სასწავლო, სატექნიკო, სამხედრო-თავდაცვის და საქრონიკო კინო-სურათების წარმოებისათვის;

დ) ადგენს საქართველოს სსრ კინო-ფოტო-მრეწველობის განვითარების ჯუმლობითს საპერსპექტივო გეგმებსა და საკონტროლო ციფრებს და ადგენს აგრეთვე მის უშუალო ქვემდებარეობაში მყოფი ორგანიზაციების ოპერატიულ გეგმებსა და საკონტროლო ციფრებს;

ე) ამუშავებს საბიუჯეტო დაფინანსებისა და საბანკო დაკრედიტების გეგმებს და ანაწილებს საბიუჯეტო ასიგნვებს და საბანკო კრედიტებს მის ქვემდებარე ორგანიზაციებს შორის;

ვ) ჰგეგმავს კაპიტალურ, სამრეწველო და კინო-სათეატრო მშენებლობას და აგრეთვე ამტკიცებს პროექტებს; თვალყურს ადევნებს მისი ქვემდებარე ორგანიზაციების მშენებლობას;

ზ) ამუშავებს და, სათანადო უწყებებთან შეთანხმების შემდეგ, უდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მთავრობას მისი ქვემდებარე კინო-ფოტო-მრეწველობის ნედლეულით, მასალით, გაწყობილობით და სათბობი მასალით მომარაგების გეგმებს;

თ) ანხორციელებს ხელმძღვანელობას შრომის ორგანიზაციისა, ტექნიკური ნორმირებისა, ტარიფიკაციისა, შრომის დაცვისა, მუშათა მომარაგებისა და კადრებისათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების საკითხების სფეროში მისი ქვემდებარე კინო-ფოტო-მრეწველობის ხაზით;

ი) ხელმძღვანელობას უწევს კინო-ფოტო-მრეწველობის უმაღლესი კვალიფიკაციის მხატვრულ-შემოქმედებითი და ტექნიკური კადრების მომზადებას, აღრიცხვას და განაწილებას; აწყობს კინო-ფოტო-საქმის სასწავლებლებს, ჰგზავნის კინო-ფოტო-მრეწველობის მომუშავეთ' კინო-ფოტო-საქმის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებში მათი წარმატებისათვის;

კ) იზიდავს და იყენებს კინემატოგრაფიაში სამუშაოდ ხელოვნების ადამიანებს, ახლო მდგარი დარგების მომუშავეთ; ამუშავებს და ატარებს მთავრობის ორგანოებში საერთო ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს კინემატოგრაფიისა და ფოტოსაქმის შემომქმედი კადრების ზრდასა და განვითარებას;

ლ) ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს კინო-ფოტო-მრეწველობის კინო-სურათებისა და ფოტო-ქრონიკების თვისების გაუმჯობესებასა და ამაღლებას კინო-ფოტო-წარმოების ახალი ტექნიკის ათვისების და განვითარების ხაზით; ანხორციელებს მის ქვემდებარე ორგანიზაციებში სარეკონსტრუქციო და სარაციონალიზატორო ღონისძიებათ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების მიზნით;

მ) ჰგეგმავს და აწესრიგებს მისი ქვემდებარე ორგანიზაციების პროდუქციის გასაღებას; აწესრიგებს მის ქვემდებარე საწარმოთა მიერ დამზადებული კინოფილმების გაქირავებას იმ საფუძვლებზე, რაც დადგენილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის მთავარი სამმართველოს მიერ;

ნ) თვალყურს ადევნებს მის ქვემდებარე კინო-მრეწველობის საწარმოთა მიერ დამზადებული კინო-სურათების შინაარსს;

ო) აწყობს რესპუბლიკანურ ფილმათეკას (მის ქვემდებარე საწარმოთა მიერ გამოშვებული ყველა კინო-სურათის საკონტროლო ეკზემპლარის შენახვა) და ფოტოთეკას (ფოტო-ნეგატივების საკონტროლო ეკზემპლარების შენახვა);

პ) ამუშავებს აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებს და ხელმძღვანელობას უწევს მისი ქვემდებარე კინო-ფოტო-მრეწველობის ორგანიზაციების აღრიცხვას და ანგარიშგებას;

ჟ) აწარმოებს საგამომცემლო მუშაობას კინო-ფოტო-მრეწველობის საკითხების სფეროში;

რ) სცემს წესებს, ინსტრუქციებს და ტექნიკურ ნორმებს თავისი გამგებლობის საგნების შესახებ.

3. კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს სტრუქტურა.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს სათავეში დგას უფროსი. უფროსს და მის მოადგილეს ჰნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს უფროსთან არსებობს კოლეგია, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს შინაგან სტრუქტურას—მისი დამოუკიდებელი ნაწილების რიცხვისა, სახელწოდებისა და ძირითადი ამოცანების ხაზით—აწესებს კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს უფროსი, წინასწარ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოსთან არსებობს სამხატვრო საბჭო, რომლის სათავეშიაც დგას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს უშუალო გამგებლობაში იმყოფებიან შემდეგი, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედნი, საწარმონი:

ა) სამხატვრო, სამეცნიერო, სასწავლო და სატექნიკო ფილმების მწარმოებელი ფაბრიკა;

ბ) მკოპირებელი ფაბრიკა;

გ) კინოფიკაციისა და ფილმების გამავრცელებელი რესპუბლიკანური კონტორა („საქკინო“);

დ) კინო-ქრონიკის წარმოების ბიურო („საქკინოქრონიკა“);

ე) სამშენებლო კონტორა („საქკინმშენი“;)

ვ) საქართველოს ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანური კონტორა („საქ-ფოტო“).

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და სამმართველოს სახელწოდებით.

---

14. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოსთან საქართველოს ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანური კონტორის—„საქფოტოს“—მოწყობის შესახებ.

საქართველოს ფოტო-მრეწველობის განმტკიცებისა და მისთვის სათანადო მატერიალური ბაზისის შექმნის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს სისტემაში დაარსებულ იქნეს დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულის საფუძვლებზე საქართველოს ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანური კონტორა „საქფოტო“, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე და უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს.

2. გადაეცეს ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანურ კონტორას „სოიუზ-ფოტოს“ ლიკვიდირებული ამიერკავკასიის კონტორის სადგომი, გაწყობილობა, ინვენტარი და მთელი სხვა ქონება ამ კონტორის დასკვნითი ბალანსით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაეკისროს საქართველოს ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანურ კონტორას—მოაწყოს და გეგმაშეწონილად გაშალოს საქართველოს ფოტო-მრეწველობა.

4. რათა თავიდან აცილებულ იქნეს ის გარემოება, რომ შესაძლებელია ერთმანეთში აურიონ „საქფოტო" (საქართველოს ფოტო-მრეწველობის რესპუბლიკანური კონტორა) და სარეწაო კოოპერაციის ფოტო-საწარმონი, რომელნიც ამავე „საქფოტოს" სახელწოდებით მოქმედობენ, წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შეცვალოს სარეწაო კოოპერაციის ფოტო-საწარმოთა სახელწოდება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 26.
ტფილისი.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

15. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ.

„სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 20-ის თარიღისა და 1541 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 48 №-ი, მუხ. 283), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ ს.კ.ს-თან) ქვემდებარე სამშენებლო ორგანიზაციების საკუთარ საბრუნავ სახსართა არასაკმარისიანობა 1933 წელს განისაზღვროს 400 ათასი მანეთის რაოდენობით.

ეს თანხა დაფარულ იქნეს საქართველოს სსრ 1933 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე მძიმე მრეწველობის კაპიტალური ხარჯების დაფინანსებისათვის გადადებული ასიგნებიდან.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სამშენებლო ორგანიზაციის საკუთარ საბრუნავ სახსართა არასაკმარისიანობა 1933 წელს განისაზღვროს 95 ათასი მანეთის რაოდენობით.

ეს თანხა დაფარულ იქნეს საქართველოს სსრ 1933 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოთა საბრუნავი სახსრის დაფინანსებისათვის გადადებული ასიგნებიდან.

3. საბინაო კოოპერაციის სისტემის სამშენებლო ორგანიზაციების საკუთარ საბრუნავ სახსართა არასაკმარისიანობა და მისი დაფარვის წყაროები განსაზღვრულ იქნეს დამატებით, იმის შემდეგ, როდესაც გამოაშკარავდება საქართველოს სსრ საბინაო კოოპერაციის საერთო ფინანსური მდგომარეობის გამოსარკვევად წარმოებული გამოკვლევის შედეგები.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაამუშაოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, საკითხი: ა) რამდენად მიზანშესაწონია, რომ 1934 წელს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის სამშენებლო ორგანიზაციაში თავმოყრილ იქნეს აგრეთვე ის ძირითადი საქარხნო-საფაბრიკო მშენებლობა, რის განხორციელებაც განზრახულია 1934 წელს მსუბუქი მრეწველობის და მომარაგების სახალხო კომისარიატების სისტემებისა და აგრეთვე საკუთარი სამშენებლო ორგანიზაციების არმქონე სხვა უწყებების და ორგანიზაციების სამშენებლო პროგრამების მიხედვით, და ბ) ამის შესაბამისად—საქართველოს სსრ 1934 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სისტემის სამშენებლო ორგანიზაციის საბრუნავ სახსართა დასაფინანსებლად ასიგნების შეტანის შესახებ ამ ორგანიზაციის 1934 წლის სამშენებლო პროგრამის მიხედვით და იმ ნორმატივების მიხედვით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1933 წ. ივლისის 20-ის თარიღისა და 1541 №-ის დადგენილების მე-5 მუხლით—საკუთარ საბრუნავ სახსართა განსაზღვრისათვის.

II

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის მაისის 27-ის დადგენილებაში „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-14 №-ი, მუხ. 203; მე-17 №-ი, მუხ. 238) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) აღნიშნულ დადგენილებას ეწოდოს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების შესახებ“.

ბ) აღნიშნული დადგენილების 1-ლი და მე-3 მუხლები გაუქმებულ იქნეს;

გ) ამ დადგენილების 1[1] მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები „და სამშენებლო“;

დ) აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„საპროექტო ორგანიზაციებსა და შემკვეთ ორგანიზაციებს შორის საგეგმო სასყიდლის სისტემის ხაზით ურთიერთი ანგარიშების გასწორების წესი მყარდება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით“.

2. კარი მე-II საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 5-ის დადგენილებისა „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების თაობაზე გამოცემული 1933 წ. მაისის 27-ის დადგენილების დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-17 №-ი, მუხ. 238) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბერი 26.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

16. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების გაუქმების შესახებ.

„სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალო კომისარიატთან სსრ კავშირის ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ცენტრალური სამმართველოს მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 23-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-14 №-ი, მუხ. 82) და „ა/კ სფსრ ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მაისის 16-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 10-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 272).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 26.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. დადგენილება ც. ა. კ.

კოლექტიური მეურნეობების მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საადგილმამულო დავებისა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად რესპუბლიკანური და სარაიონო კომისიების დაარსების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მე-2 და 3 მუხლები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. სექტემბრის 15-ის დადგენილებისა „იმ საადგილმამულო დავების და სხვა საკითხების გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობების მიწათსარგებლობასთან, რესპუბლიკანური და სარაიონო კომისიების დაარსების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 23 №-ი, მუხ. 221) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. რესპუბლიკანური საადგილმამულო კომისია მოწყობილ იქნეს შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და წევრები: ა) ტერიტორიის მოწყობის სექტორის გამგე, ბ) კოლექტიური მეურნეობების ორი თავმჯდომარე, გ) საქტრაქტორცენტრის ერთი წარმომადგენელი და დ) სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს ერთი წარმომადგენელი.

რესპუბლიკანური საადგილმამულო კომისიის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი“.

„3. სარაიონო საადგილმამულო კომისიები მოწყობილ იქნეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე და წევრები: სარაიონო მიწათმომწყობი, სარაიონო აგრონომი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ერთ-ერთი დირექტორი და კოლექტიური მეურნეობების ორი თავმჯდომარე.

სარაიონო საადგილმამულო კომისიის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს (კუთვნილებისამებრ) პრეზიდიუმი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1933 წ. ნოემბრის 27.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარია

18. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ეპიზოოტიებთან ბრძოლის მიზნით დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეპიზოოტიებთან (ოთხფეხი საქონლის მმუსრავი ავადმყოფობანი) ბრძოლის მიზნით მთავრობის სათანადო ორგანოების მიერ დადგენილი წესების დარღვევისათვის, კერძოდ—საკარანტინო ღონისძიებათა დარღვევისათვის, დაწესებულ იქნეს ჯარიმა 500 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ექვს თვემდე, რასაც დაადებენ საადმინისტრაციო წესით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური ორგანოები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ნოემბრის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 274 №-ში 1933 წ. ნოემბრის 29.

ვაჭრობა. მოგმარაგება

19. დადგენილება ს.კ.ს.

საკვები პროდუქტების და ფართო მოხმარების საქონლის ფასების დამუშავებისა, დაწესებისა და კონტროლის გაწევის სფეროში უწყებებისა და ორგანიზაციების ფუნქციათა განსაზღვრის შესახებ.

ფასების სფეროში ფუნქციების შერევის თავიდან აცილებისა და სათანადო ორგანიზაციების გარკვეული პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ ფასების სფეროში შემდეგ ორგანიზაციებს ევალებათ:

ა) **სამეურნეო სახალხო კომისარიატებსა, „საქვაჭრობასა“, „ცეკავშირსა“, „სარეწაო საბჭოს“ და სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიულ კავშირს**—შეიმუშაონ და დააწესონ როგორც თვით ფასები მთავრობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილობის ფარგლებში, ისე შეიმუშაონ მეთოდოლოგიის საკითხები თავიანთი ცენტრების დირექტივების საფუძველზე, და გაუწიონ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორგანოებს ინსტრუქტირება და კონტროლი [შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის 1932 წ. თებერვლის 26-ის თარიღისა და 37 №-ის დადგენილება „მრეწველობის საგასაცემო ფასების დადგენის წესის შესახებ“ (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 1932 წ. 59 №-ი) იმ ცვლილებებით, რაც შეტანილია 1-ლი მუხლით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 7/21-ის თარიღის და 662 №-ის დადგენილებისა „ფასთა კომიტეტის მიერ დადგენილი საგასაცემო და სადამზადებლო ფასების განხილვის წესის შეცვლის შესახებ“ და მისივე 1933 წ. მაისის 3-ის დადგენილებით „მრეწველობის ფასების დადგენის წესის შესახებ“ (ოქმი № 9, § 9-ბ); შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის 1932 წ. თებერვლის 26-ის თარიღისა და 40 №-ის დადგენილება „ფართო მოხმარების საქონლის ცალობითი ფასების მოწესრიგების შესახებ“ (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 1932 წ. 59 №-ი); სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 26-ის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის პროდუქციის ფასების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 27 №-ი, მუხ. 161); შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის 1933 წ. მაისის 9-ის დადგენილება „ადგილობრივი სარაიონო მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის წესის შესახებ“ (ოქმი № 12, დამატება, პუნქ. 13)];

ბ) **სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეცენტრალიზებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (საქ. სსრ-ში) არსებული საკონვენციო ბიუროს**—დააწესოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დეცენტრალიზებული წესით დასამზადებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეცენტრალიზებულ დამზადებათა ცენტრალური საკონვენციო ბიუროს მითითებით და მის მიერვე განსაზღვრულ ფარგლებში, ამ ბიუროს შესახები, 1933 წ. მარტის 10-ისა და 428 №-ის, დებულების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 105); ზედამხედველობა გაუწიოს როგორც მის მიერ, ისე ზემდგომი საკონვენციო ბიუროების მიერ დადგენილი, დეცენტრალიზებული წესით დასამზადებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სადამზადებლო ფასების დაცვას და შეიმუშაოს ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საბაზრო ფასების შემცირებას;

გ) **დეცენტრალიზებული წესით დასამზადებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საგამსაღებლო ფასების დამწესებელი საკონვენციო ბიუროს**—შეიმუშაოს და დააწესოს დეცენტრალიზებული წესით დასამზადებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცალობითი (საგამსაღებლო) ფასები იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1933 წ. მარტის 19-ის თარიღისა და 80 №-ის დადგენილებით „დეცენტრალიზებული წესით დასამზადებელი სასურსათო საქონლის ცალობითი გასაყიდი ფასების შესახებ“;

დ) **სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის პროდუქტების ფასების დამწესებელ საკონვენციო ბიუროს**—შეიმუშაოს და დააწესოს შინამრეწველობის გეგმა-გარეშე ნედლეულისაგან დასამზადებელ ნაკეთობათა საგასაცემო ფასები იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 26-ის თარიღისა და 833 №-ის დადგენილებით „სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის პროდუქციის ფასების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 27 №-ი, მუხ. 161) და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის მიერ დამტკიცებული 1933 წ. მაისის 29-ის თარიღისა და 137 №-ის დებულებით „სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის პროდუქციის ფასების დამწესებელი საკონვენციო ბიუროების შესახებ“;

ე) **სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში**—შეიმუშაოს წინადადებანი და დასკვნანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების საკითხთა შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტში წარსადგენად, „ფასთა კომიტეტის მიერ დადგენილი საგასაცემო და სადამზადებლო ფასების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 7/21-ის თარიღისა და 662 №-ის დადგენილების მე-3 მუხლისა და „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 13-ის თარიღისა და 199 №-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-11 №-ი, მუხ. 58) შესაბამისად;

ვ) **საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს**—გაუწიოს მეთვალყურეობა, კონტროლის წესით, საგასაცემო და ცალობითი ფასების დადგენას ყველა სახალხო კომისარიატსა და სავაჭრო ორგანიზაციაში; პასუხისგებაში აძლიოს სასამართლო წესით სამეურნეო და მოვაჭრე ორგანიზაციები დადგენილი ფასებისა და ზედნართების დარღვევისათვის; შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომისიისათვის საკითხები ფართო მოხმარების ძირითადი სამრეწველო საქონლის ცალობითი ფასებისა და სავაჭრო ზედნართების შეცვლის შესახებ და აგრეთვე—საკითხები საგასაცემო საბითუმო და ცალობითი ფასების და სავაჭრო ზედნართების მოწესრიგების შესახებ—„კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ფასებისათვის კონტროლის გაძლიერების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის მაისის 22-ის თარიღისა და 1009 №-ის დადგენილების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) **საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებულ ფასთა სახელმწიფო ინსპექციას**—შეამოწმოს კოოპერატიული და სახელმწიფო მოვაჭრე ორგანიზაციების მიერ ფასების სფეროში საბჭოთა პოლიტიკის განხორციელება და აწარმოოს ბრძოლა დადგენილი ფასების დარღვევასთან; აგრეთვე გაუწიოს სპეციალური კონტროლი დადგენილი საკონვენციო ფასების დამშზადებელი ორგანიზაციების მიერ დაცვას—„ფასთა სახელმწიფო ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ნოემბრის 20-ის თარიღისა და 968 №-ის დადგენილებისა (სსრკ. კან. კრ. 1931 67 №-ი, მუხ. 450) და „არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოწყობისა და ადგილებზე საკონვენციო ბიუროების მუშაობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 25-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 84 №-ი, მუხ. 520) შესაბამისად;

თ) **საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომისიას**—გადაწყვიტოს საკითხები, რაც ეხება კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის საგასაცემო საბითუმო და ცალობითი ფასების და ზედნართების დაწესებას—შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის მიერ დადგენილ ფარგლებში და მისივე დირექტივების საფუძველზე, თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 1-ის თარიღის და 471 №-ის დადგენილებისა „შრომის და თავდაცვის საბჭოსთან სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის მოწყობის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 25 №-ი, მუხ. 155) და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან სასაქონლო ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების მუდმივი კომისიის დაარსების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 21 №-ი, მუხ. 195).

2. ყველა უწყებამ და ორგანიზაციამ უნდა შეუფარდოს ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილებას ყოველი წინად გამოცემული აქტი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 დეკემბრის 7.
ტფილისი.

---

20. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

საქართველოს სსრ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული შრომითი საგლეხო მეურნეობებისათვის ნებადართვის შესახებ დაუბრკოლებლად მიჰყიდონ თავიანთი პური სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებს და აგრეთვე გაყიდონ ბაზარზე და რკინის გზის სადგურებზე.

„საქართველოს სსრ-ში პურის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულებისა და საგაზაფხულო თესვის თესლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ ტერიტორიაზე პურის თავისუფალი ვაჭრობის ნებადართვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ შრომითს საგლეხო მეურნეობებს—დაუბრკოლებლად გაყიდონ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თავიანთი ზედმეტი პური, სხვათა შორის—სიმინდიც (ფქვილად, მარცვლად, გამომცხვარი); მათ ეს პური შეუძლიათ მიჰყიდონ საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებს („ცეკავშირი“) და აგრეთვე გაყიდონ ქალაქებისა და სოფლების ბაზრებზე და რკინის გზის სადგურებზე.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო, სარაიონო და საქალაქო კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ ამა დადგენილების 1-ლი მუხლის სრული განხორციელება;

ბ) გააძლიერონ ბრძოლა პურის სპეკულაციასთან და ჩარჩებთან და აძლიონ ამ ქმედობაში დამნაშავე პირნი პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლის თანახმად.

3. წანადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს ამა დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ საქმეთა რიგს გარეშე და დაუყოვნებლივ გამოძიება და განხილვა სასამართლო ორგანოების მიერ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **პ. ალნიაშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 21.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „გაზ. „კომუნისტის“ 293 №-ში 1933 წ. დეკემბრის 22.

---

21. დადგენილება ს. კ. ს. და ს. კ. პ. (ბ) ც. კ.

1934 წელს სახელმწიფოსათვის რძისა, კარაქისა და ყველის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„1934 წელს სახელმწიფოსათვის რძისა და კარაქის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილებისა („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტიას“ 1933 წ.

285 №-ი) და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების („ზარია ვოსტოკას“ 1933 წ. 299 №-ი) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1934 წელს (იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე) შემდეგი მტკიცე—საქართველოს სსრ რაიონებში და საშუალო—მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ნორმები სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა, დადგენილ სახელმწიფო ფასად, ცალკე—საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ სარძეო-სასაქონლო ფერმები, ცალკ—ესაკოლ შეურნეო კომლებისათვის იმ კოლ ექტიურ მეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ სარძეო-სასაქონლო ფერმები, და ცალკე—ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის (ლიტრობით ერთ ძროხაზე წელიწადში):

რაიონები	ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის.	საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ სარძეო-სასაქონლო ფერმები,	საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ სარძეო-სასაქონლო ფერმები.
I ჯგუფი.			
წალკისა, ბაშკიჩეთისა, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები	150	100	70
II ჯგუფი.			
ტფილისისა, საგარეჯოს, ალბულახისა და ახალციხის რაიონები.	120	75	50
III ჯგუფი.			
დუშეთისა, ყაზბეგისა, თიანეთისა, თელავისა, გურჯაანისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, სიღნაღისა, ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგისა, კასპისა, გორისა, სტალინისისა და ბორჯომის რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	80	55	40
IV ჯგუფი.			
ხორაგოულისა, ჭიათურისა, ზესტაფონისა, ჩხარისა, ბაღდადისა, ქუთაისისა, ტყიბულისა, ვანისა, სამტრედიისა, ხონისა, ონისე, ამბროლაურისა, ცაგერისა, აბაშისა, მარტვილისა, სენაკისა, ხობისა, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა, წალენჯიხისა, ფოთისა, ლანჩხუთისა, ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონები და აფხაზეთის ავტ. სსრ და აჭარისტანის ავტ. სსრ	30	20	15

2. დაწესებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობების სარძეო-სასაქონლო ფერმებისა და განსაზოგადოებული ნახირისათვის შემდეგი ნორმები სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა (ლიტრობით ერთ ძროხაზე წელიწადში):

რაიონები	კოლექტიური მეურნეობების სარძეო-სასაქონლო ფერმებისა და განსაზოგადოებული ნახირისათვის.
I ჯგუფი წალკისა, ბაშკიჩეთისა, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები	300
II ჯგუფი ტფილისისა, საგარეჯოს, აღბულახისა და ახალციხის რაიონები	240
III ჯგუფი. დუშეთისა, ყაზბეგისა, თიანეთისა, თელავისა, გურჯაანისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, სიღნაღისა, ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგისა, კასპისა, გორისა, სტალინისისა და ბორჯომის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	160
IV ჯგუფი ხორაგოულისა, ჭიათურისა, ზესტაფონისა, ჩხარისა, ბაღდადისა, ქუთაისისა, ტყიბულისა, ვანისა, სამტრედიისა, ხონისა, ონისა, ამბროლაურისა, ცაგერისა, აბაშისა, მარტვილისა, სენაკისა, ხობისა, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა, წალენჯიხისა, ფოთისა, ლანჩხუთისა, ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონები და აფხაზეთის ავტ. სსრ და აჭარისტანის ავტ. სსრ	60

3. სარძეო-სასაქონლო ფერმებისა, კოლექტიური მეურნეობებისა (მათ შორის კომუნებისა) და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ ჩასაბარებელი რძის რაოდენობა განისაზღვრება 1933 წ. ნოემბრის 1-თვის არსებული ძროხების რიცხვის მიხედვით.

კოლექტიური მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების განსაზოგადოებულ ნახირში ოთხფეხი საქონლის ნამდვილი რაოდენობის გადამალვისათვის დაწესებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებისა და კოლექტიური მეურნეობების მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების გამგეების პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხლის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. იმ რაიონებში, სადაც არ არსებობს კარაქისა და ყველის ქარხნები, მოუხდელი რძის ჩამბარებელი რაიონების გამოკლებით, ერთპიროვნული მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი და საკოლმეურნეო კომლნი თავიანთ ვალდებულებათა შესასრულებლად აბარებენ ერბოს—25 ლიტრ რძეზე 1 კილოგრამ ერბოს ანგარიშით, ან ყველს—9 ლიტრ რძეზე 1 კილოგრამი ყველის ანგარიშით.

5. დაწესებულ იქნეს შემდეგი საკალენდრო ვადები კოლექტიური მეურნეობებისა (მათ შორის კომუნებისა), საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძის ჩასაბარებლად ამა დადგენილებით განსაზღვრული წლიური ნორმების პროცენტობით:

I	კვარტალში	5%
II	„	45%
III	„	45%
IV	„	5%

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დააწესონ და გამოაქვეყნონ არა უგვიანეს 1933 წ. დეკემბრის 20-ისა ჩაბარების ცალკეული ნორმები რაიონობით, ისე, რომ ამა დადგენილებით რესპუბლიკებისა და ოლქისათვის დაწესებული საშუალო ნორმები შენარჩუნებულ იქნეს, ხოლო სახელმწიფოსათვის კარაქის და ერბოს ჩაბარების გეგმის აღსრულება უზრუნველყოფილ იქნეს სავსებით.

კატეგორიულად აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს დამტკიცებული რძის ჩაბარების რაიონობითი ნორმების შეცვლა.

7. დაევალოს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით, ჩააბარონ, არა უგვიანეს დეკემბრის 25-ისა, თვითეულ სარძეო-სასაქონლო ფერმას, კოლექტიურ მეურნეობას და კომუნას, რომელსაც ჰყავს განსაზოგადოებული ნახირი, საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელსაც ჰყავს ძროხები, რძის ჩაბარების ვალდებულება—ჩაბარების პუნქტის აღნიშვნით და ჩაბარების წლიური ნორმის თვეებზე დაყოფით რაიონებისათვის დადგენილი ჩაბარებათა კვარტალური გეგმების შესაბამისად.

8. დაევალოს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს—აწარმოონ კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ მათთვის დადგენილი სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ვალდებულებათა ასრულების აღრიცხვა.

9. იმ კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების თვიურ ვალდებულებას, დაედება ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით, და ეს ჩაუბარებელი ნა-

წილი რძისა გადახდება მას უდავო წესით შემდგომ თვეში ამ თვეს ჩასაბარებელი ნორმის ზედმეტად.

10. დაევალოს კარაქის ქარხნების დირექტორებს—დაუბრუნონ ხოლმე რძის ჩამბარებლებს კარაქად გადამუშავებული რძის ნარჩენები (დო) შემდეგი რაოდენობით:

სარძეო-სასაქონლო ფერმებს და კოლექტიურ მეურნეობებს (მათ შორის კომუნებს), რომელთაც ჰყავთ განსაზოგადოებული ნახირი,—50% ჩაბარებული რძის წონისა;

სხვა მეურნეობებს— 35% ჩაბარებული რძის წონისა.

11. რძის, კარაქის და ყველის დამზადება ამა დადგენილების წესით დაევალოს კარაქ-ყველის ქარხნებს და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, „ცეკავშირისა“ და „აფკავშირის“ ჩამსხმელ პუნქტებს.

12. დაწესებულ იქნეს პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183 მუხლის თანახმად იმისთვის, ვინც შეეცდება ჩააბაროს მოხდილი და ფალსიფიცირებული (ნარევი) რძე ამა დადგენილებით დაწესებულ ვალდებულებათა აღსრულების ანგარიშში.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, „ცეკავშირთან“ შეთანხმებით, დაამტკიცოს სამრეწველო ცენტრების მოსამარაგებლად განსაზღვრული მოუხდელი რძის დამზადების რაიონების სია.

14. ამა დადგენილების პრაქტიკული განხორციელება დაეკისროს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და მის სარაიონო ორგანოებს.

15. კატეგორიულად აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამმზადებელ ორგანიზაციებს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ვალდებულების დაკისრება კოლექტიური მეურნეობების საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებისა და განსაზოგადოებული ნახირისათვის, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება ამა დადგენილების შესაბამისად დაწესებულ ჩაბარების ნორმებს. აეკრძალოთ აგრეთვე რძის ჩაბარების დამატებითი ან შემხვედრი გეგმების მიცემა იმ მეურნეობებისათვის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, და უზრუნველყონ პირიან ჩამბარებლებისათვის სრული შესაძლებლობა თავისუფლად მოიხმარონ თავიანთი ზედმეტი პროდუქცია თავიანთი სურვილისამებრ.

წინასწარ გაფრთხილებულ იქნეს ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია, რომ შემხვედრი გეგმების მიცემაში დამნაშავე პირნი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1933 წ. დეკემბრის 20

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. დადგენილება ს. კ. ს.

კოლექტიურ მეურნეობებთან და ერთპიროვნულ მეურნე გლეხებთან ტყის დამზადებასა და წყლით ჩამოტივტივებაზე ხელშეკრულებათა დადებისათვის გამოცემული სსრკ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების შესახებ.

„კოლექტიურ მეურნეობებთან და ერთპიროვნულ-მეურნე გლეხებთან ტყის დამზადებასა და წყლით ჩამოტივტივებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ., 8 №-ი, მუხ. 409) და ამ კანონის განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს სისტემის ტყის დამმზადებელ ორგანოებს—დაამთავრონ 10 დღის ვადაზე მტკიცე ორმხრივი სამეურნეო ხელშეკრულებების დადება კოლექტიურ მეურნეობებთან და ერთპიროვნულ მეურნე გლეხებთან 1934 წელს ტყის დამზადებისა, წყლით ჩამოტივტივებისა და გამოზიდვის შესახებ.

2. კოლექტიურ მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებებში ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს ტყის რა დასამუშავებელი ადგილებია მიმაგრებული უწყებულ კოლექტიურ მეურნეობაზე და რა ხნის განმავლობაში უნდა დაამუშაოს და გამოიტანოს ტყე კოლექტიურმა მეურნეობამ. ხელშეკრულებებს უნდა ჰქონდეს სავალდებულო იურიდიული ძალა და ზედმიწევნით ითვალისწინებდეს ორივე მხრის პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულებისათვის.

შრომის სასყიდელს ამ ხელშეკრულებებით ტყის დამმზადებელი ორგანოები იხდიან შემდეგ პირობებზე:

ა) კოლმეურნის მთელი ფულადი საშოვარი (მუშა-საქონლის სამუშაო სასყიდლის ჩართვით) ეძლევა კოლმეურნეს, გარდა 20%-ისა, რაც გადაირიცხება კოლექტიური მეურნეობის განკარგულებაში შესაბმელობისა, საზიდავისა (ურმის) და სხვა მისთ. სარემონტოდ;

ბ) დამმზადებელი ორგანოებისაგან მიღებული ფურაჟი შედის კოლექტიური მეურნეობის განკარგულებაში საქონლის გამოსაკვებად;

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიური მეურნეობის საერთო კრება გადასწყვეტს კოლმეურნეს სასყიდელი ტყეში მუშაობისათვის აენაზღაუროს შრომა-დღეებით კოლექტიური მეურნეობის ხარჯზე, კოლმეურნის მთელი საშოვარი (ნატურად მინაცემის ჩართვით) გადაიცემა კოლექტიური მეურნეობის განკარგულებაში; ამასთანავე, სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ ან სხვა ტყის დამმზადებელმა ორგანიზაციამ, კოლექტიური მეურნეობის გამგეობასთან ერთად, ზედმიწევნით უნდა განსაზღვროს გამომუშავების ნორმა შრომა-დღისთვის; კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნის მიერ გამომუშავების ნორმის გადამეტებით შესრულების შემთხვევაში ზედმეტი გამომუშავების მთელი სასყიდელი ეძლევა პირადად კოლმეურნეს.

ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა კოლექტიური მეურნეობის მიერ ნაკისრები, ტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და ჩამოტივტივების ვალდებულებისათვის მთლად კოლექტიური მეურნეობის გამგეობას ედება.

კოლექტიური მეურნეობის გამგეობა გამოჰყოფს ტყის დამზადებისათვის სპეციალურ ბრიგადებს, რომელნიც პასუხისმგებელ არიან არა მარტო ტყის კაფვისათვის, არამედ აგრეთვე ტყის გამოზიდვისათვისაც (უპირატესად სათავბოლო ბრიგადები); ბრიგადის სათავეში დგას სპეციალური საკოლმეურნეო ბრიგადირი, რომელიც თვიური პროგრამის გადამეტებით შესრულების შემთხვევაში მიიღებს ტყის დამმზადებელი ორგანიზაციისაგან, ბრიგადირის ძირითადი საშოვრის გარდა, აგრეთვე ზედმეტ სასყიდელს მთელი ბრიგადის საშოვრის 2%-მდე. ტყის დამმზადებელი ორგანიზაცია, კოლმეურნეობებისათვის სამუშაო ხელფასისა და პროდუქტების თავის დროზე და სრულად მიცემის უზრუნველყოფასთან ერთად, ზედმიწევნით ითვალისწინებს აგრეთვე კოლმეურნეებისათვის გასაწევ დახმარებას ხე-ტყის მასალით, შეშით, სამრეწველო საქონლის გამოყოფით, ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტით, კონკრეტულ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობით და სხვა მისთ.

შენიშვნა. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები კოლექტიურ მეურნეობებთან დაიდება იმ ტიპური ხელშეკრულებების მიხედვით, რაც დამტკიცებულია ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სკს-თან) მიერ, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად.

3. ერთპიროვნული მეურნე გლეხები ჩაიბმიან ტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და ჩამოტივტივების მუშაობაში ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე, მათ შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და თვითვალდებების ჩატარების წესით.

ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების მიერ ერთპიროვნულ მეურნე გლეხთაგან ბრიგადების მოწყობის დროს ბრიგადირებს დაასახელებენ ათისთავები და დაამტკიცებს სატყეო პუნქტის ხელმძღვანელი.

4. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული 1934 წლის და ამავე წლის პირველი კვარტალის რაიონობითი გეგმები ტყის დამზადების და გამოზიდვისა და მუშა-ძალით და ჭაპანზიდვის ძალით სატყეო მრეწველობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს სისტემის ხეტყის დამმზადებათა ორგანიზაციების ხაზით.

დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ სკს-თან—უზრუნველყოს ის კაპიტალდაბანდებანი სამრეწველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძვლად იქნა მიღებული ზემოაღნიშნული რაიონობითი გეგმების შედგენის დროს.

5. წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზედაც სწარმოებს ტყის დამზადება, გამოზიდვა და ჩამოტივტივება ან მუშა-ძალის და საწევი ძალის დაქირავება, ტყის დამმზადებელ ორგანიზაციებთან ერთად, გაანაწილონ ხუთი დღის ვადაზე ცალკეულ სასოფლო საბჭოებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და ჩამოტივტივების საგეგმო დავალებანი დამტკიცებული რაიონობითი გეგმების თანახმად.

წინდადება მიეცეს ტყის დამმზადებელ ორგანიზაციებს—წარავლინონ რაიონებში პასუხისმგებელი მომუშავენი, რომელთაც, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, დააკისრონ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ საგეგმო დავალებათა განაწილების დროს არ მოხდეს ცალკეული კოლექტიური და ინდივიდუალური მეურნეობების ზედმეტი დატვირთვა.

6. წინადადება მიეცეს მე-5 მუხლში აღნიშნულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ტყის დამმზადებელთა ტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და ჩამოტივტივების წლიური და კვარტალური გეგმების აღსრულება საყოველდღეო მუშაობისათვის საჭირო რაოდენობის მუშა-ძალით დი საწევი ძალით კოლექტიური მეურნეობებიდან და ინდივიდუალური მეურნეობებიდან, დამტკიცებული გეგმების თანახმად.

7. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ სკს-თან:

ა) უზრუნველყოს თავის დროზე პურისა, ბურღულისა და ფურაჟის მიცემა დადგენილი ნორმებისა და კონტინგენტების მიხედვით, იმ კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის, რომელთაც დასდვეს ხელშეკრულება ტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და ჩამოტივტივების შესახებ;

ბ) განსაზღვროს თვითეული სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მოთხოვნილება საჭირო რიცხვის მუდმივი მუშა-ძალისა და უზრუნველყოს მისი დაკომპლექტება 1934 წ. მარტის 1-თვის.

8. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იქონიონ მუდმივი მეთვალყურეობა ტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და ჩამოტივტივების სამუშაოთა მსვლელობისათვის, გაუწიონ ტყის დამმზადებელ ორგანიზაციებს ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება მათ მუშაობაში და ფართოდ გაშალონ სოცშეჯიბრი სასოფლო საბჭოებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ბრიგადებს შორის მათთან დადებულ ხელშეკრულებათა აღსრულების სფეროში.

9. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—უზრუნველყოს განხორციელება ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კოლექტიურ მეურნეობებთან და ერთპიროვნულ—მეურნე გლეხებთან ტყის დამზადებასა და წყლით ჩამოტივტივებაზე ხელშეკრულებათა დადების შესახებ.“

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 29

ტფილისი.

ტრანსპორტი

23. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 26

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის შესახებ.

1. სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციებისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობად და დახმარების გასაწევად სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობასა და ექსპლოატაციის საქმეში, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცალკეულ უწყებათა და ორგანიზაციათა მიერ ამ სფეროში განსახორციელებელი ყველა ღონისძიების გასაერთიანებლად და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის საქმეში საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობის ჩასაბმელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტი.

2. აღნიშნული კომიტეტი მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ან მისი ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული წევრების შედგენილობით.

3. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტს ეკისრება:

ა) გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა ღონისძიებას, რაც მიმართულია საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის იდეის, მიზნების და ამოცანების პოპულარიზაციისათვის, და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის საქმეში საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის;

ბ) მისცეს დირექტივები და გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის მოქმედებას საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში;

გ) განიხილოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის გეგმები და აგრეთვე საქართველოს სსრ-ში საჰაერო მიმოსვლის ხაზების (სამგზავრო და სატვირთო) და სარაიონთაშორისო საჰაერო კავშირგაბმულობის მოწყობისა და განვითარების გეგმები;

დ) ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამოქალაქო ავიაციის ორგანოების მიერ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობისა და საჰაერო მიმოსვლის ხაზთა ექსპლოატაციის გეგმების განხორციელებას., კერძოდ—შეათანხმოს და გააერთიანოს ცალკეული უწყებებისა და ორგანიზაციების ღონისძიებანი, რაც დაკავშირებულია აღნიშნული გეგმების განხორციელებასთან;

ე) ხელი შეუწყოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის საქმისთვის სახსრის მოპოვებას და ამ საქმეში საქართველოს სსრ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა და აგრეთვე მშრომელი მოსახლეობის ჩაბმას (ავია-ვალდებულებათა შეძენის წესით და ყოველგვარი ნებაყოფლობითი გამოსაღების სახით);

ვ) ხელი შეუწყოს სამოქალაქო ავიაციის ძმუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესებას;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის საჭიროებათათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახსრის შეგროვების კამპანიებს, მოაწყოს ამ სახსრის შეგროვება და განკარგოს ამ წესით შეგროვილი თანხები;

თ) გაუწიოს კონტროლი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავია-ვალდებულებათა და ნებაყოფლობითი წესით შეგროვილი სახსრის მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

4. კომიტეტის საქმიანობის წესს და მოწვევის ვადებს განსაზღვრავს თვით კომიტეტი.

5. მიმდინარე საქმეებს და აგრეთვე გადაუდებელ საკითხებს გადასაწყვეტს კომიტეტის სახელით მისი თავმჯდომარე და გამოტანილ განკარგულებას მოახენებს შემდგომ კომიტეტს უახლოეს სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. კომიტეტის საქმის წარმოებას განაგებს კომიტეტის მიერ არჩეული პასუხისმგებელი მდივანი.

7. კომიტეტს უფლება აქვს გამოიყენოს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

24. დადგენილება ს. კ. ს.

საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და ექსპლოატაციის სფეროში კომუნალური მეურნეობის ორგანოებისა და საბინაო კოოპერაციის ორგანოების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და ექსპლოატაციის სფეროში კომუნალური მეურნეობის ორგანოებისა და საბინაო კოოპერაციის ორგანოების ფუნქციების განსაზღვრისათვის იმ ამოცანების შესაბამისად, რაც დაკისრებული აქვთ კომუნალური მეურნეობის სისტემის ორგანოებს დაგეგმვისა, საერთო მოწესრიგებისა და კონტროლის ხაზით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი საბინაო კოოპერაციის გამგებლობად მყოფი საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და ექსპლოატაციის სფეროში ანხორციელებს საერთო მოწესრიგებისა, დაგეგმვისა და კონტროლის ფუნქციებს, კერძოდ კი ანხორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) აძლევს საქართველოს საბინაო კოოპერაციის კავშირს დირექტივებს საკონტროლო ციფრებისა და საპერსპექტივო გეგმების შესადგენად და აგრეთვე იხილავს და ამტკიცებს საბინაო კავშირის მიერ შედგენილ მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის ექსპლოატაციის საკონტროლო ციფრებს და საპერსპექტივო გეგმებს საერთო გეგმაში ჩასართავად;

ბ) ამყარებს და სცემს ტიპურ წესებს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ კომუნალური მეურნეობის განყოფილებებთან საიჯარო ხელშეკრულებების დადების შესახებ;

გ) ამყარებს საბინაო კოოპერაციის ორგანოების მიერ კომუნალური ორგანოებისათვის მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის ექსპლოატაციის ანგარიშგების წარდგენის წესს;

დ) ისმენს საქართველოს საბინაო კოოპერაციის კავშირის მოხსენებებს და ანგარიშებს და აგრეთვე იკვლევს უშუალოდ საბინაო კოოპერაციის საქმიანობას მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის ექსპლოატაციის სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აწესრიგებს საბინაო კოოპერაციისათვის საიჯარო ქირის აღრიცხვისა და გადახდევინების საკითხებს, ამუშავებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის გამოყენების ნორმებს და ურდგენს ამ ნორმებს უმაღლეს ორგანოებს დასამტკიცებლად.

2. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ასრულებს, საბინაო კოოპერაციის კავშირთან ერთად, შემდეგ ფუნქციებს საბინაო კოოპერაციისათვის გადაცემული მუნიციპალიზებული და ახლად აშენებული საბინაო ფონდის ბაზით:

ა) სცემს ტიპურ ნორმალიზებულ ბიუჯეტს;

ბ) ამუშავებს და სცემს, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, ინსტრუქციებს, წესებს და საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებსა და მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებში საპაიო დანაგროვთა ნორმებს;

გ) იძლევა დირექტივებს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა და მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახალხო მეურნეობაში თბო-მეურნეობის მოწყობის და ექსპლოატაციისა და კეთილმოწყობის შესახებ:

დ) ამუშავებს აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემას;

ე) ამუშავებს შინაგანი რესურსების მობილიზაციის საკითხებს.

3. კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილებებს ეკისრებათ:

ა) დასდონ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებთან ხელშეკრულებები მუნიციპალიზებული სახლების იჯარით აღების შესახებ და კონტროლი გაუწიონ ხელშეკრულებების შესრულებას, წარმოებული სარემონტო სამუშაოების მოცულობას და თვისებას, ფართობის გამოყენებას დანიშნულებისამებრ და მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, და აგრეთვე ბინის ქირის სისწორით გადახდევინებას;

ბ) შეიმუშაონ, საბინაო კოოპერაციის საქალაქო კავშირებთან ერთად, და წარუდგინონ საქალაქო საბჭოებს დასამტკიცებლად სახალხო მეურნეობის ნორმალიზებული საგასავლო ბიუჯეტი უწყებული ქალაქისათვის ტიპური ნორმალიზებული საგასავლო ბიუჯეტის საფუძველზე;

გ) განიხილონ და დაამტკიცონ, საქალაქო საბჭოს საფინანსო განყოფილების და საბინაო კოოპერაციის საქალაქო კავშირის წარმომადგენლებთან ერთად, საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საშემოსავლო-საგასავლო ბარჯთაღრიცხვები;

დ) მოისმინონ საბინაო კოოპერაციის საქალაქო კავშირების მოხსენებები და ანგარიშები და აგრეთვე ჩაატარონ უშუალო გამოკვლევა საბინაო კოოპერაციის საქმიანობისა როგორც საბინაო კავშირისათვის იჯარით გადაცემული, ისე ახლად აშენებული საბინაო ფონდის ექსპლოატაციის სფეროში;

ე) გამოსცენ, საბინაო კოოპერაციის საქალაქო საბჭოსთან და საქალაქო მეურნეობის მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირთან ერთად, ინსტრუქციები

ეზოს მომუშავეთა ფუნქციების შესახებ და მათი მუშაობის ნორმები—მილიციის სამმართველოსთან შეთანხმებით.

3) განიხილონ და წარუდგინონ, თავიანთი დასკვნით, საქალაქო საბჭოს დასამტკიცებლად საერთო პრინციპები მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ აგებულ და აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ ახალ სახლებში ჩასახლებისა—საცხოვრებელი ფართობით მრეწველობისა და ტრანსპორტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გეგმების შესაბამისად, და კონტროლი გაუწიონ ამ გეგმების ფაქტიურ შესრულებას.

4. ყველა იმ ღონისძიებას, რაც მიმართული იქნება საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის იჯარით გაცემული საბინაო მეურნეობის ექსპლოატაციის გასაუმჯობესებლად, კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილებანი ანხორციელებენ საბინაო კოოპერაციის საქალაქო კავშირების მეშვეობით, საბინაო კოოპერაციის ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად.

5. არაქონებრივი ხასიათის კონფლიქტების გამო საბინაო კოოპერაციის კავშირებსა და კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებსა და საქალაქო განყოფილებებს შორის აღძრულ დავათ გადასწყვეტენ ადგილობრივი საბჭოები.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე: **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**
1933 წ. ნოემბრის 26.
ტფილისი.

---

25 დადგენილება ს. კ. ს.

"დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების თაობაზე" გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „ლ" პუნქტისა, მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის „ვ" პუნქტის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილებაში „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 40) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1-ლი მუხლის „ლ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[1. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება აქვთ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეთ. . . . . .]

„ლ) მწერლებს, რომელნიც წევრნი არიან საბჭოთა მწერლების კავშირისა"

მე-2 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ, მე-18 №-ი, მუხ. 253) შეიცვალოს იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲐ

28. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ც. Ა. Კ. ᲓᲐ Ს.Კ.Ს.

„სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 31 და 32 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

31 და 32 მუხლები 1932 წლის მაისის 13-ის დადგენილებისა „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-16 №-ი, მუხ. 127) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„31. შრომის ბეგარის ჩამტარებელი ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ:

ა) წყლის, სურსათის და ფურაჟის მიწოდება;

ბ) სათბობი, საცხები და სხვა მასალის მიწოდება;

გ) უსასყიდლო მედიკო-სანიტარული დახმარება;

დ) უსასყიდლო სავეტერინარო-სასანიტარო დახმარება;

ე) მუშა-საქონლის უსასყიდლო დაჭედვა.“

„32. საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებმა უნდა გახსნან შრომის ბეგარის ჩატარების ადგილებზე სასურსათო ფარდულები“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **თ. ჟღენტი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ბ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 27.
ტფილისი.

---

29. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს.Კ.Ს.

ამიერკავკავკასიის რკინის გზაზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

„ამიერკავკასიის რკინის გზაზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკას“ 1933 წ. 282 №-ი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს, კოლექტიურ მეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს—გაუწიონ დახმარება ამიერკავკასიის რკინის გზას—უპირველესად სხვა ორგანიზაციებთან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარებით, თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლისათვის საჭირო მუშა-ძალის და ჭაპანზიდვის-ძალის მოგროვების საქმეში.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს, სასოფლო საბჭოებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს—გამოყონ პასუხისმგებელი პირნი მუშა-ძალის მოგროვების საქმეში დახმარებისათვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელშეკრულებებით შეპირებული კოლ-მეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი თავის დროზე გამოვიდნენ თოვლთან ბრძოლისათვის.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს იმ შემთხვევაში, როდესაც თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლის სავსებით უზრუნველყოფა მუშა-ძალის და ჭაპან-ზიდვის-ძალის მოგროვების წესით შეუძლებელია, გაიწვიონ ამიერკავკასიის რკინის გზების უფროსისა და სასამსახუროებისა და დისტანციების უფროსთა მოთხოვნისამებრ, ადგილობრივი მოსახლეობა შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარაზე.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარა ჩატარებულ უნდა იქნეს „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-16 №-ი, მუხ. 127); 1933 წ. მე-12 №-ი, მუხ. 166); ამასთანავე, გაწვეულ მუშა-ძალას უნდა მიეჩინოს საბინაოები, ხოლო საზიდავებს—სადგომი ადგილები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი**

1933 წ. დეკემბრის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 287 №-ში 1933 წ. დეკემბრის 15.

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

30 დადგენილება ს.კ.ს.

საბავშვო სათამაშოების წარმოებისა და გავრცელების შესახებ.

აღნიშნავს-რა, რომ არ არსებობს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა საბავშვო სათამაშოების წარმოების და გავრცელების საქმეში, რის გამოც მასურად ვრცელდება იდეოლოგიურად შეუსაბამო სათამაშოები, მაშინ, როდესაც იდეოლოგიურად, პედაგოგიკურად და ტექნიკურად მოგვარებულ სათამაშოს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების კოლექტივისტური, პოლიტექნიკური და კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნისტური აღზრდისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაუწიოს საგეგმო ხელმძღვანელობა საბავშვო სათამაშოების წარმოებას როგორც სპეციალურ საწარმოთა მოწყობით, ისე არსებულ საწარმოებთან (ფაბრიკა, ქარხანა) საბავშვო სათამაშოების მკეთებელი ცეხების მოწყობით, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივის გამოყენებით.

2. აეკრძალოთ ორგანიზაციებს და კერძო პირებს საბავშვო სათამაშოების წარმოება გასასაღებლად და გავრცელება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საგეგმო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გარეშე.

3. ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა საბავშვო სათამაშოების იდეოლოგიურად და პედაგოგიკურად სწორე გაფორმებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

4. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს ერთი დეკადის ვადაზე სპეციალური კომისია საბავშვო სათამაშოების გაფორმების საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

წინადადება მიეცეს საბავშვო სათამაშოების გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მოვაჭრე ორგანიზაციებს—წარუდგინონ ხოლმე აღნიშნულ კომისიას დამზადებული სათამაშოების ორ-ორი ნიმუში დასკვნის მისაცემად ამ სათამაშოების გავრცელების შესაძლებლობის შესახებ.

სათამაშოს ერთ ნიმუშთაგანს კომისია უგზავნის მე-6 მუხლში აღნიშნულ საბავშვო სათამაშოების მუზეუმს.

5. ნებადაურთველი საბავშვო სათამაშოების გავრცელება აიკრძალოს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს მის გამგებლობაში მყოფ მსუბუქი მრეწველობის ექსპერიმენტალურ ინსტიტუტთან საბავშვო სათამაშოების მუზეუმი.

7. წინადადება მიეცეს აღნიშნულ მუზეუმს, განათლების სახალხო კომისარიატის საერთო იდეოლოგიური ხელმძღვანელობით და სათანადო სამეცნიერო-საკვლევო და საბავშვო დაწესებულებათა მონაწილეობით, მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა საბავშვო სათამაშოების შესასწავლად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების შესახებ.

ვინაიდან ბუნების დაცვა სოციალისტური მშენებლობის პირობებში უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებათა ერთიან სისტემას, რაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა, განვითარებისა და თვისებრივი გაუმჯობესებისათვის სამეურნეო და კულტურული ინტერესების თვალსაზრისით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, იმ პირობათა შესაქმნელად, რაც უზრუნველჰყოფს საქართველოს სსრ-ში ამ ამოცანათა გადაწყვეტას, ადგენენ:

ნ ა ნ ი I.

ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების ხელის შემწყობი ორგანოები.

1. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ:

ა) წარმართონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ თავიანთ ქვემდებარე სამეცნიერო და სამუზეუმო დაწესებულებათა საქმიანობას, როგორც საქართველოს სსრ სათანადო სიმდიდრეთა აღრიცხვისა, ისე მათი განვითარების და უფრო რაციონალურად გამოყენების შესწავლის მეთოდების საქმეში;

ბ) მოაწყონ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ნაკრძალები („ზაპოვედნიკ") და ხელმძღვანელობა გაუწიონ საამისო მუშაობას;

გ) შეისწავლონ საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანები;

დ) ხელი შეუწყონ უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათ იმ საკითხების მეცნიერულად დამუშავებაში—საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის და განვითარების თვალსაზრისით,—რაც ეხება მიწის წიაღის, ტყის, მიწის და წყლის სანახების ექსპლოატაციას და აგრეთვე ნადირობას, თევზისჭერას, ზღვის მხეცთა მოპოვებას და მათ მოშენების საშუალებებს.

2. საქართველოს სსრ უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის განვითარების სფეროში ჩასატარებელ ღონისძიებათა შეთანხმების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სექტორთან არსდება საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა განვითარების ხელისშემწყობი საუწყებათაშორისო კომიტეტი.

კომიტეტის შედგენილობაში შედიან: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ოთხი წარმომადგენელი და საქართველოს სსრ სახელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო საგეგმო კომისიისა, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკუროორტო სამმართველოსი, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ-ში) სამმართველოსი, სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ-ში) სამმართველოსი, სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოსი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბისა, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ბუნების დაცვის საზოგადოებისა და საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის თითო წარმომადგენელი.

დასახელებული უწყებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენელთა გარდა, კომიტეტის დადგენილებით და განათლების სახალხო-კომისარიატის სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სექტორის დამტკიცებით, კომიტეტის შედგენილობაში შედიან სპეციალისტები და აგრეთვე მუშათა ორგანიზაციების და ცალკე საწარმოთა წარმომადგენლები, განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო სექტორის შეთანხმებით სათანადო საწარმოსთან და ორგანიზაციასთან.

კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან განათლების სახალხო კომისარი ნიშნავს პრეზიდიუმს, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, მდივნისა და ორი წევრისაგან.

კომიტეტის დადგენილებანი ეგზავნება ცნობად ყველა დაინტერესებულ უწყებას და დაწესებულებას.

3. საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა განვითარების ხელისშემწყობ საუწყებათაშორისო კომიტეტს (მუხ. 2) უფლება აქვს მოსთხოვოს უწყებათ, საწარმოთ და დაწესებულებათ ანგარიშები და მასალები ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვას, განვითარება და რაციონალურად გამოყენებას ეხება.

4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის და განვითარების ფუნქციებს, ამა დებულების საფუძველზე, ანხორციელებენ რესპუბლიკების და ოლქის სახალხო განათლების ორგანოები და მათთან მოწყობილი ბუნებრივ სიმდიდრეთა განვითარების ხელისშემწყობი საუწყებათაშორისო კომიტეტები და კომისიები.

ნ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი

5. ნაკრძალი ეწოდება ბუნების ისეთ ნაკვეთს ან წარმონაშობ ცალკეულ საგანს, რაც გამოცხადებულია როგორც ხელუხლებელი.

ნაკრძალად გამოცხადებას აქვს შემდეგი მიზანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დაიცვას ბუნების ის, ჯერ კიდევ ხელუხებელი კულტურული ნაკვეთები, რომლებიც გამოხატავენ ბუნებრივ-სამეურნეო რაიონების ტიპურ დამახასიათებელ თვისებებს, რათა შესწავლილ იქნეს პირველყოფილი ბუნებრივ პირობები იმ სახით, როგორიც იყო ეს პირობები, ვიდრე მათ ადამიანის ხელ შესცვლიდა;

ბ) მოაქციოს სამეურნეო ბრუნვაში ბუნების ნატურალური ნაწარმოებნ განსაკუთრებით ისეთნი, რაც ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის ადამიანი მიერ;

გ) ყოველმხრივ გამოიყენოს კულტურა-შეუხებელი ბუნების ნაკვეთნი ბუნებრივ პირობათა ცვლილებების შესასწავლად, რაც შეაქვს ადამიანის მო მედეგას;

ამის გარდა ნაკრძალის დამატებითს ამოცანას შეიძლება შეადგენდეს აგ რეთვე სარეწაო ცხოველთა დაცვა, წყლის რეჟიმისა, ნორმალური კლიმატურ და სანიტარული პირობების დაცვა, ჩვენი ქვეყნის დაცვა და სხვა მისთ.; აგ რეთვე შეიძლება ნაკრძალი გამოყენებულ იქნეს მშრომელთა დასასვენებლად.

6. სრულ ნაკრძალებად ცხადდება ბუნების ის ნაკვეთები, რომელთა, სა ერთოდ, სამეურნეო გამოყენება ან ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევა აკრძ ლულია. სრულ ნაკრძალთან შეიძლება მოეწყოს დაცვითი რაიონი, რომლ ამოცანასაც შეადგენს შექმნას ბუნებრივი ზღუდე სრული ნაკრძალისათვის. და ცვითი ზონის საკითხს თვითოეულ ცალკე შემთხვევაში გადასწყვეტს ნაკრძალ დამაარსებელი ორგანო (მე-11 მუხლი).

7. ნაწილობრივი ნაკრძალი წარმოადგენს ბუნებრივ ისეთ ნაკვეთს, რ მელშიაც ნაკრძალობა ვრცელდება არა მთელ ბუნებაზე, არამედ მხოლოდ მ განსაზღვრულ ნაწილზე, და ამ ნაწილის მიმართ დაცულ უნდა იქნეს სრულ ნაკრძალობის პირობები.

8. მე-6 და მე-7 მუხლებში აღნიშნული შემთხვევების გარდა, ხელუხლებ ლად შესანახ საგნად ცხადდება ბუნების ისეთი ნაწარმოები, რომელსაც აქ სამეცნიერო ან კულტურული ღირებულება და რომელსაც გაფუჭება ან განა დგურება მოელის.

9. დაცვითად ცხადდება ველური ბუნების ის ნაკვეთები ან მისი ცალ კეული ნაწარმოებნი, აგრეთვე სააკლიმატიზაციო პარკები, ბაღები და ხელოვნ რად შექმნილი მწვანე ფართობები, რასაც სამეურნეო, სამეცნიერო ან კულტ რულ-ისტორიული ღირებულება აქვს და რაც, ამიტომ, საჭიროებს როგორ დაცვას, ისე განსაკუთრებულ მოვლას, და, ზოგიერთი შეზღუდვით, შეიძლებ გამოყენებულ იქნეს სამეურნეო მიზნებისათვის.

10. ყველა ნაკრძალი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარია ტის და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაშია, რო მელთაც შეუძლიათ გადასცენ იგი სხვადასხვა სემეცნიერო დაწესებულებას.

11. ბუნების ნაკვეთების და მისი ცალკეულ ნაწარმოებთა ნაკრძალებად გამოცხადება, მათი საზღვრების და დაცვითი რაიონების დაწესება, აგრეთვე ა ნაკრძალების შესახებ დებულებათა გამოცემა მოხდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საერთო-რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ბუნების ნაკვეთების მიმართ—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მასშტაბის მნიშვნელობის მქონე ბუნების ნაკვეთების მიმართ—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით;

გ) სარაიონო მნიშვნელობის მქონე ბუნების ნაკვეთების მიმართ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების დადგენილებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს განათლების სათანადო ცენტრალურ ორგანოებთან.

ბუნების ნაკვეთების ნაკრძალებად გამოცხადების შესახებ უნდა მოხდეს, დადგენილი წესისამებრ, პუბლიკაცია სათანადო ბეჭდვითს ორგანოში.

სამეცნიერო დაწესებულებაზე მიმაგრებული ნაკრძალი (მუხ. 10) ეთანაბრება ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკრძალს.

12. ბუნების ნაკვეთები და მისი ცალკეულ ნაწარმოებთა დაცვით გამოცხადება (მუხ. 9) სწარმოებს დაინტერესებულ უწყებათა, დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა წარდგენით.

13. სრული ნაკრძალის ასე თუ ისე გამოყენება და მისი ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევა აკრძალულია. ამ წესის გამონაკლისი შეიძლება იმ ორგანოს განსაკუთრებული განკარგულებით, რომლის გამგებლობაშიაც ნაკრძალია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტიქიური მოვლენა ან სხვა რამ გარემოება ნაკრძალს ან მის დაცვით რაიონს საფრთხეს უქადის, ან და როდესაც ამას მოითხოვს ნაკრძალის დაცვის ინტერესი.

14. ნაკრძალის დაცვითი რაიონის ექსპლოატაცია შეიძლება დაინტერესებული ორგანოს შეთანხმებით იმ ორგანოსთან, რომლის გამგებლობაშიაც ნაკრძალია. ნაკრძალის სამეურნეო და სამეცნიერო საჭიროებათათვის დაცვითს რაიონში, დაინტერესებულ უწყებასთან ან ორგანიზაციასთან შეთანხმებით, შეიძლება გამოყოფილ იქნეს განსაკუთრებული მიწის ნაკვეთები.

15. ნაკრძალის წინაშე მდგარი ამოცანების განსახორციელებლად იგი მოეწყობა ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებად ან და მიმაგრებულ იქნება სამეცნიერო დაწესებულებაზე.

16. ნაკრძალთა სამეცნიერო მუშაობა ეკისრება: ა) ნაკრძალის სამეცნიერო მოშუშავეთა შტატს ან ბ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის იმ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს, რომელიც აწარმოებს საქართველოს სსრ ბუნების საწარმოო ძალების შესწავლას. ამისდაშესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა დაამყაროს კავშირი სამეცნიერო დაწესებულებათა და ნაკრძალთა შორის, შეათანხმოს მათი მუშაობის გეგმები ნაკრძალებში ბუნების მუდმივი და ყოველმხრივი შესწავლისათვის და უზრუნველყოს ეს შესწავლა სპეციალური ასიგნებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სხვა უწყებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მუშაობა ნაკრძალებში მოწესრიგდება ამ უწყებათა შეთანხმებით საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან.

კომიტეტის სახსარი.

საუწყებათაშორისო კომიტეტის სახსარს შეადგენს:

ა) იმ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით და სამრეწველო-საფინანსო გეგმებით გადადებული თანხები, რომელთაც უშუალოდ ექვემდებარება ნაკრძალი;

ბ) კომიტეტში შემავალი ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებით და სამრეწველო-საფინანსო გეგმებით გათვალისწინებული დოტაციები;

გ) სამეურნეო ორგანოების მიზნობრივი თანხები (ამა თუ იმ გამოკვლევისათვის);

დ) სხვა შემოსავალი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. **მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. **ელენტი.**

1933 წ. ნოემბრის 27
ტფილისი.

სოციალური უზრუნველყოფა

32. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 6-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 42 და 1933 წ. 21 №-ი, მუხ. 287).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. **მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. **ელენტი.**

1933 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

ნ ა თ ი I.

ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი მოქმედობს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 34 და 48 მუხლების თანახმად და აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146).

2. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ძირითადი ამოცანებია მოაწყოს სოციალური უზრუნველყოფა—ინვალიდების პენსიონირებისა და შრომითი მოგვარების ღონისძიებათა საფუძველზე; ხელმძღვანელობა (დირექტივების მიცემა, მუშაობის წარმართვა, მუშაობაში დახმარების გაწევა და სხვა მისთ.) და კონტროლი გაუწიოს საურთიერთო დახმარების ორგანიზაციების (ინვალიდთა კოოპერაცია) და მის სისტემაში შემავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედებას და ჩააბას ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასები სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების საქმეში.

ნ ა თ ი II.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგნები.

4. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) შეიმუშაოს სოციალური უზრუნველყოფისა, საურთიერთო დახმარებისა და თავისი გამგებლობის სხვა საკითხების შესახები კანონებისა და დადგენილებების პროექტები, გამოსცეს სოციალური უზრუნველყოფის შესახები კანონებისა და დადგენილებების შეფარდებისათვის ინსტრუქციები და დადგენილებები და აგრეთვე გამოსცეს და დაამტკიცოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინსტრუქციები, დებულებები და წესდებები;

ბ) შეიმუშაოს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მიერ წარდგენილი ცნობების საფუძველზე სოციალური უზრუნველყოფის რაიონობითი საკონტროლო ციფრები და საპერსპექტივო გეგმები და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის ჯუმლობითი გეგმები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებული ამ რესპუბლიკებისა და ოლქის შესახები ცნობების ჩართვით, და განახორციელოს კონტროლი ამ საკონტროლო ციფრებისა და გეგმების განხორციელებისათვის;

ბ) შეიმუშაოს საკითხები და განახორციელოს ღონისძიებანი ინვალიდების შრომით მოგვარებისათვის;

დ) განახორციელოს ღონისძიებანი ინვალიდების (მათ შორის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა) მასური პროფესიონალურ-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ხაზით სწავლებისა და ხელახალი სწავლებისათვის სხვადასხვა სასწავლებლებში, კერძოდ—ტექნიკუმებში და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში; აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებანი მოსწავლეთა მოწყობისათვის ინვალიდთა კოოპერაციის არტელებში და სხვა კოოპერატიულ სისტემებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და სხვა საწარმოებში;

ე) განახორციელოს ღონისძიებანი ინვალიდთა შრომის სამეცნიერო-პრაქტიკული შესწავლისა, გამოყენებისა და მოწყობისათვის;

ვ) მოაწესრიგოს ინვალიდთა შრომის პირობები ინვალიდთა კოოპერაციის არტელებში და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმოებითს საწარმოებში—სამუშაო დღის ხანგრძლივობისა, შრომის დაცვისა, უშიშროების ტექნიკისა და ინვალიდთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის შრომის გაადვილებული პირობების დამყარების ხაზით;

ზ) განახორციელოს ღონისძიებანი მათხოვრობისა, პროსტიტუციისა და ასაკოვანთა უპატრონობის ლიკვიდაციისათვის—მათი შრომის მეშვეობით გარდაქმნითა და მუშაობაზე მოწყობით;

თ) ხელმძღვანელობა გაუწიოს თავის საპროტეზო საწარმოთა და სახელოსნოთა ქსელს პროტეზებისა და ორთოპედიული ფეხსაცმელის მასური წარმოებისათვის;

ი) შეიმუშაოს ომის ინვალიდთა და უზრუნველსაყოფ პირთა სხვა კატეგორიების პენსიებით სახელმწიფო უზრუნველყოფის საერთო ნორმები და სახეები (ფულადი და ნატურალური) და აგრეთვე წესი—პირველ რიგში სამოქალაქო ომის ინვალიდებისა, წითელ არმიელებისა, წითელ პარტიზანებისა და კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში და კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა უზრუნველსაყოფად;

კ) მიიღოს მონაწილეობა იმ საკითხების დამუშავებაში, რაც დაკავშირებულია სოციალურად უზრუნველსაყოფ პირთათვის პროფილაქტიკური დახმარების გაწევასთან; აგრეთვე იხმაროს ღონისძიებანი მათი სასანიტარო-საკურორტო დახმარებით უზრუნველყოფისათვის; მიიღოს მონაწილეობა ინვალიდების ჯგუფების განსაზღვრისათვის საჭირო სამკურნალო-შრომითი ექსპერტიზის საკითხებისა და ინვალიდთა პროფესიონალური შერჩევის საკითხების დამუშავებაში;

ლ) ფართოდ გაშალოს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა ქსელი, კერძოდ—ყველა კატეგორიის ინვალიდთა სახლების ქსელი, და დაამუშაროს საერთო წესი მათი მოქმედებისა და იმ ინვალიდების უზრუნველყოფის ნორმები, რომელთაც ეს დაწესებულებანი მომსახურეობას უწევენ;

მ) ხელმძღვანელობა გაუწიოს კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროებისა და გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებების მოწყობის საქმეს და ამ სალაროების მოქმედებას; დაგეგმოს და აღრიცხოს ამ სალაროების მუშაობა; თვალყური ადევნოს მათ მოქმედებას და მათ მიერ მთავრობისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დირექტივების შესრულებას;

ნ) აწარმოოს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომუშავეთა არსებული და საჭირო კადრების აღრიცხვა; მოაწყოს მათი მომზადება და გარდამზადება როგორც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისათვის, ისე მათთან არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, და განახორციელოს ამ მომუშავეთა გეგმიანი განაწილება.

ვ ა ხ ი III.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

4. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი, რომელთანაც განწესებულ არიან მისი ორი მოადგილე და კოლეგია.

5. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებობენ:

ა) ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭო;

ბ) მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური საბჭო;

გ) ინვალიდთა შრომის ორგანიზაციის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელიც მოქმედობს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

6. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებობენ შემდეგი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელნიც მოქმედებენ მისი ხელმძღვანელობით და კონტროლით:

ა) გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებების და კოლმეურნეთა საურთიერთო დახმარების სალაროების ცენტრალური ორგანოები;

ბ) სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის კავშირი;

გ) სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირი:

დ) ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება;

ვ) სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთი;

ზ) სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი.

7. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოებია საქალაქო განყოფილება (ქ. ტფილისში) და სოციალური უზრუნველყოფის სარაიონო და საქალაქო ინსპექტურები.

---

33. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრების შეღავათების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I კარი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 20-ის დადგენილებისა „ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრების შეღავათების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 223) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

I.

„ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრებს მიენიჭოს შემდეგი შეღავათები:

1. იმ საცხოვრებელი ფართობის ქირა, რაც უჭირავთ ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრს და მის ოჯახს ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლში და აგრეთვე უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოსათვის მიკუთვნებულ სახლში, გადახდევინებულ უნდა იქნეს ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მომქმედი საბინაო ტარიფის 10-დან 50%-მდე დაკლებით. ამ მონაკლების რაოდენობას განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

2. კომუნალური მომსახურეობის სასყიდელს (წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ელექტროენერგია განათებისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, ქალაქის სამრეცხველოების, საზოგადოებრივი აბანოებისა და სხვა მისთ. სარგებლობა, ქალაქის სარკინისგზო და საავტობუსო ტრანსპორტის სარგებლობა)

ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრი იხდის ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი შეღავათიანი ტარიფით.

შენიშვნა. ადგილობრივ საბჭოს შეუძლია სრულიად გაანთავისუფლოს ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრი კომუნალური მომსახურეობის ან ზოგიერთი მისი სახის სასყიდლისაგან.

3. ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრს უფლება აქვს უფასოდ შევიდეს ყველა სახელმწიფო მუზეუმში, გამოფენაზე, ბაღში და სხვა ამგვარ კულტურულ დაწესებულებაში. სახელმწიფო თეატრებსა, ცირკებსა და კინოში შესვლისათვის ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრი იხდის სასყიდელს ბილეთის ფასის 50%-ის დაკლებით.

4. ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრის შვილები და მის რჩენაზე მყოფი პირები მიიღებიან ყველა სასწავლებელში (დაბალი, საშუალო და უმაღლესი) და საალმზრდელო დაწესებულებაში (საბავშვო სახლი და სხვ.) რიგს გარეშე თავისუფალ ადგილებზე და სტიპენდიებზე და განთავისუფლდებიან სწავლისა და აღზრდის სასყიდლისაგან".

სო. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ზ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

სისხლის სამართალი

34. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

არასწორე საალრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე საალრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

„არასწორე საალრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე საალრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 27-ს დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ს „იზვესტიას" 1933 წ. 291 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაწესებულ იქნეს:

ა) განზრახ ამა თუ იმ მხრივ დამახინჯებული სააღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის იმ პირთ, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ამ ცნობების შედგენისა და წარდგენისათვის, შეეფარდებათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლი;

ბ) სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენისათვის დაწესებული ფორმებისა და ვადების სისტემატური და ბოროტული დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხლის ან, სათანადო შემთხვევაში, 114 მუხლის თანახმად, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში—იმავე კოდექსის 113 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **ა. ყოფიკაშვილი.**

საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1933 წ. დეკემბრის 7.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 281 №-ში 1933 წ. დეკემბრის 8.

---

35. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაემატოს „ა“ კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი, მუხ. 208; 24 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26), 26,27,28,29 და 30 პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებლო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად: . . . . . .]

„26) ისეთ დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება, რომ სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევის და საურთიერთო დახმარების სალაროებისა და მათი კავშირების წევრებმა ამ სალაროებში და მათ კავშირში თავიანთი ხვედრ თანხების შეტანის ვადა გადააცილეს, უკეთუ საურთიერთო დაზღვევის და საურთიერთო დახმარების სალაროების ორგანოები წარადგენენ სათანადო ვალდებულებებს ან ხვედრი თანხების ანგარიშს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„27) მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის საქართველოს ტრესტის ორგანოების ანგარიშს ბალების სავალდებულო წესით წამლობის ჩატარების სასყიდლის თაობაზე, უკეთუ გასულია 5 დღე სათანადო მეურნეობისა და პირისაგან სასყიდლის მოთხოვნის დღიდან და უკეთუ თანაც წარდგენილი იქნება: ა) გაუნაღდებელი ანგარიში და ბ) ასლი გადამხდელისათვის წინასწარ წერილობით შეტყობინებისა ანგარიშის მიხედვით ფულის შეტანის შესახებ, გადამხდელის ხელწერილით, რომ მან მიიღო ეს შეტყობინება, ან მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის სათანადო ორგანოს აღნიშვნით, რომ გადამხდელმა უარი სთქვა ამ ხელწერილის მიცემაზე“.

„28) რკინის გზების დირექციის შეტყობინებას, რასაც იგი უგზავნის თავის კლიენტებს რკინის გზების წესდების 123 მუხლის წესით განცხადებული პრეტენზიების აღიარების შესახებ, უკეთუ შეტყობინებაში აღნიშნულია აღიარებული თანხა“.

„29) დოკუმენტს, რომლითაც მკტიცდება შემნახველი სალაროსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებელი დავალიანება, რაც დარჩა ამ სალაროს მომუშავეზე მისი დათხოვნის დროს და ადმინისტრაციის მიერ ამ მომუშავის ხვედრი თანხებიდან ფულის დაჭერის შემდეგ, უკეთუ წარდგენილ იქნება შემნახველი სალაროს ცნობა სალაროს ადმინისტრაციის მიერ აღნიშნულ მომუშავეზე მისგან სალაროსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დადებული ფულადი გადასახდელის რაოდენობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა თანხა დარჩა გაუნაღდებელი ამ გადასახდელიდან აღნიშნული პირის დათხოვნის დროს ადმინისტრაციის მიერ მისთვის დაჭერილი ფულით“.

„30) „გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დებულების“ „91 მუხლის (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 181) თანახმად მოწყობილი კომისიის გადაწყვეტილებას—გამონაგონისა, ტექნიკური და საორგანიზაციო გაუმჯობესებისათვის გამომგონებლის ან მისი მემკვიდრის დაჯილდოების შესახებ, აგრეთვე საწარმოსთან არსებული საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებას—საწარმოს მიერ ისეთი ტექნიკური და საორგანიზაციო გაუმჯობესების გამოყენებისათვის ჯილდოს რაოდენობისა და გადახდის წესის შესახებ, რომელზედაც საავტორო მოწმობა არ გაიცემა, უკეთუ წარდგენილ იქნება: ა) ასლი სათანადო კომისიის გადაწყვეტილებისა გამონაგონის ტექნიკური ან საორგანიზაციო გაუმჯობესებისათვის დაჯილდოების შესახებ; ბ) ასლი გამომგონებლობის საქმეთა სათანადო ორგანოს დადგენილებისა უწყებული წინადადების სასარგებლო წინადადებად აღიარების შესახებ.“

2. იმავე კარის მე-6 პუნქტიდან ამოიშალოს სიტყვები: „და სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დახმარების სალაროს“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 26.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

36. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 336[4] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს 336[4] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„336[4]. საკრედიტო დაწესებულებაში ქონებულ სახსარზე გადახდევინების მიქცევის დროს, უკეთუ გადამხდევინებელი და მოვალე განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციები არიან, აღსრულების ფურცელს ან სხვა სააღსრულებო დოკუმენტს, რაც აღნიშნულია ამა კოდექსის 295 მუხლში, გადამხდევინებელი წარუდგენს უშუალოდ სათანადო საკრედიტო დაწესებულებას, რომელიც განახორციელებს გადახდევინებას სახელმწიფო ბანკის მიერ, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული წესებისამებრ.

ასეთ შემთხვევას საკრედიტო დაწესებულება არ შეუფარდებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 298, 303, 333—336 მუხლებს.

უკეთუ გადაწყვეტილების აღსრულების დროს აღიძვრის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საკრედიტო დაწესებულების გამგებლობის ფარგალს სცილდება, საკრედიტო დაწესებულება გაუგზავნის აღსრულების ფურცელს სასამართლოს აღმასრულებელს საერთო წესით გადახდევინებისათვის“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1933 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 326 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 326 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„326. სასამართლო გამოიტანს განაჩენს:

1) სამართალში მიცემულის გამართლების შესახებ:

ა) უკეთუ არ დამტკიცდა იმ დანაშაულის ფაქტი, რაც მას ჰბრალდება, ან უკეთუ სამართალში მიცემულის ქმედობას არა აქვს დანაშაულის შედგენილობა;

ბ) უკეთუ მამხილებელი საბუთი სამართალში მიცემულის გასამტყუნებლად საკმარისი არ არის;

2) დამნაშავედ ცნობილის სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან განთავისუფლების შესახებ ამნისტიით, ან ხანდაზმულობით, ან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლში აღნიშნული საფუძვლების თანახმად;

3) სამართალში მიცემულისათვის სოციალური დაცვის ღონისძიების გადაწყვეტის შესახებ.

უკეთუ ამა მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები არ არსებობს, ხოლო სასამართლო, საქმის გარემოებათა მიხედვით, სცნობს, რომ დამნაშავედ ცნობილისათვის სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება მიზანშეწონილი არ არის, მას შეუძლია წარუდგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასაბუთებული შუამდგომლობა მსჯავრდადებულის სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან განთავისუფლების შესახებ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **თ. ყლენტი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. ძგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1933 წ. დეკემბრის 27
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1934 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1934 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

10 მანეთი

ხელის მოწერა მიიღება ერთი წლით იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე
ნახევარი წლით იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე.

ფასი 60 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 1. პ/მ რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 3⁵/₈ ბეჭდვ./ფურც.; 1 ბეჭდვ/ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 7/I. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II. ტირაჟი 1.600.

მთავლიტი № 104. საქ. სსრ სახალხო კომის. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 58.